

# დასასრული

## მოქმედება ხდება მიყრუებული ქალაქის ბარში:

სცენა გაყოფილია ორ ნაწილად.  
მარჯვენა - ბარის ინტერიერი, მარცხენა - პრერიის ხედი.  
სალონის შესასვლელთან დგას გრძელი სკამი.

## მოქმედი გმირები:

### მაკი

ოციოდე წლის, 175 სმ. სიმაღლის. გარუჯული თეთრი ტიპი ჩამავებული თვალებით. ატარებს ულვაშს, ნაბლისფერი თმა გვედებზე აქვს ახოტრილი და ვარცხნილობა ზემოთ ასდევს. ტილოს თეთრი პიჯაკი და ჯინსის შავი, მოშვებული შარვალი აცვია. შავ მაისურზე მზის სისტემა ახატია. ფეხზე - გაცვეთილი წითელი კედები. ვერცხლის თხელი ჯაჭვით გულზე გასაღები ჰქვია. ტყავის ქამარში მოოქროსფერო რევოლვერი აქვს გარჭობილი.

### ფელი

თხუთმეტიოდე წლის, 178 სმ. სიმაღლის. თხელი აღნაგობის, ზურგზე აქვს იარა. შავგვრემანი, შავი გადახოტრილი თმით. ქოუბოის ქუდი ახურავს, შავ მაისურზე მზის სისტემა ახატია. აცვია შორტი და კროქსები. ნაჭრის ქამარში პირდაპირ, კაბურას გარეშე, ვერცხლისფერი რევოლვერი უდევს.

### ბარმენი

### მიმტანი

### ბარმენის ქალიშვილი

### ხალხი

## სცენა I

ბარმენი ბარის მაგიდას აპირალებს. ცალკე მაგიდასთან ზის მაკი, წინ ბოთლი და პატარა ჭიქა უდვას. მაკი სასმელს ისხამს, ერთი მიყუდებით ცლის, სწრაფად დგამს მაგიდაზე, სახე ემანჭება.

**მაკი (ბარმენს):**

ჯოჯოხეთურად მაღალგრადუსიანია!

**ბარმენი:**

აქვე, ჩვენთან ხდიან. და საკმაოდ კარგ ფასად ვიღებ...

**მაკი:**

რალაც ცოტა ხალხია... ისევ მშრალი კანონი დაბრუნდა?

**ბარმენი:**

არა, ხვალ მზის დღეა და ყველა ადრე იკეცავს საბანს, რომ მზის ამოსვლას დაასწროს გაღვიძება.

**მაკი:**

და შენ არ აპირებ აისამდე ადგომას?

**ბარმენი:**

არა, მე უძილობა მანუხებს და თან ურწმუნოც ვარ.

(იციინის)

შენ რამ მოგიყვანა ამ მიყრუებულ ადგილას?

**მაკი:**

ხვალ დილით მეგობარი უნდა მოვკლა.

(იციინის)

ან ჩემი თავი.

**ბარმენი:**

მთავარია, ბარი არ დამიღწეოთ და ერთმანეთს, რაც გინდათ, ის უქენით.

შემოდის მიმტანი გოგონა, მეორე მაგიდას წმენდს, სკამებს ატრიალებს და უკუღმა აწყობს. მაკი კიდევ ერთ ჭიქას ავსებს, ცლის და ისევ იჭყანება.

**მაკი (ბარმენს):**

და ეს მზის დღე რას ნიშნავს?

(ბარმენი ხელით განაახიერებს მასტურბაციას. ორივეს ეციინება)

**მიმტანი** (ბარმენს წყრომით):  
კარგი რა, მამა. ხალხს რალაცის უნდა სჯეროდეს!

**ბარმენი** (მიმტანს):  
არაფერი მაქვს საწინააღმდეგო.

*მიმტანი გადის.*

**ბარმენი:**  
“ხალხს რალაცის უნდა სჯეროდეს...”  
(*შვილს აჯავრებს*)  
სისულელეა!  
ჰოდა, ახლა გადანყვიტეს წრეზე წავიდნენ და ისევ მზეზე ილოცონ.

**მაკი:**  
რას ნიშნავს “წრეზე წავიდნენ”?

**ბარმენი:**  
ამ სამყაროში ყველაფერი წრეზე ბრუნავს - მზე, დედამიწა, მთვარე და ადამიანიც კი!  
სულ პირველად ხომ ლოცულობდნენ მზეზე?! შემდეგ სხვა ღმერთები აირჩიეს - ტოტემები, ბუდეები, ალლაჰები, იესო და მამამისი... და რადგან არცერთმა ახალმა ღმერთმა არ აუხსრულათ ოცნებები, აბა თვითონ ხომ არ გაანძრევდნენ ხელს, ამიტომ წრეზე წავიდნენ და ისევ მზე აირჩიეს მფარველად. ჰოდა, მაგიტომაა ეს ყველაფერი სისულელე! ისევ იგივე წრეზე წავლენ.

(*ხელით მასტურბაციის იმიტაციას აკეთებს*)

*მაკს ეცინება და კიდევ ერთ ჭიქას ცლის და მაგიდაზე სწრაფად დგამს. ჭიქის დადგმის ხმასთან ერთად ნათლება სცენის მარცხენა მხარე.*

**სცენა II**

შემოდის ფელი. ფეხსაცმელს ერთმანეთს შემოჰკრავს, ხელებით შორტებს იფერთხავს და მტვერი ასდის. ქუდს ისწორებს და ნელი ნაბიჯით შედის ბარში, ბარმენს ქუდის ჩამონევით ესალმება, მიდის და მკს უჯდება წინ.

**მაკი (ბარმენს):**

ერთი ჭიქაც მოგვიტანე, ჩემო მეგობარო.

ბარმენს მოაქვს ჭიქა და ფელს უცერემონიოდ უდგამს წინ. ფელი სწრაფად ისხამს, სვამს და ჭიქას დგამს მაგიდაზე.

**მაკი (ფელს):**

დაგაგვიანდა.

**ფელი:**

გაბრიელს ძლივს დაუუსხლტი ხელიდან და როგორც თინეიჯერი გოგო შუალამის პაემანზე, ისე გამოვიპარე.

**მაკი:**

დიდი სიამოვნებით გავუხევედი სახეს!

**ფელი:**

ვიცი

(ილიმება და ორივე ჭიქას ავსებს).

შესაფერისი ადგილი შეგირჩევია.

**მაკი:**

Middle of nowhere, პოეტურია...

(იცინის, სვამენ)

დანტეს მოვპარე.

**ფელი:**

იცი რა არის პოეტური? ჩემი სახლი... როგორ დავკარგე ყველა და ყველაფერი...

**მაკი:**

ნოსტალგია საშიში გრძნობაა...

**ფელი:**

შენთვის ეს არასდროს მითქვამს, მაგრამ...

**მაკი (ბარმენს):**

კიდევ ერთი ბოთლი! ჩვენი დიალოგი ხანგრძლივი იქნება...

ბარმენს მოაქვს ერთი ბოთლი სასმელი და მაგიდაზე დგამს.

**ბარმენი (მაკს):**

არ დაგავინყდეს მთავარი წესი!

**მაკი (ბარმენს):**

არავითარ შემთხვევაში!

(მაღლა წევს ჭიქას, ფელს უჭახუნებს და ორივე სვამს).

**ფელი:**

ადრე ბედნიერების შეგრძნება შემეძლო..

**მაკი:**

“ადრე” როდის?

**ფელი:**

დრომდე. თქვენ ყველანი იქაურობის ანარეკლნი ხართ.

**მაკი:**

იქნებ დროის გასაყვანად მაინც მომიყვე...

**ფელი:**

დროის გასაყვანად შეიძლება... იდეალურობამ დალუპა იქაურობა. ყველაფერი გვექონდა, რისი გაფიქრებაც კი შეგვეძლო. სამყაროს ყველა პლანეტა რომ შეაერთო, იმხელა ციურ სხეულზე ვცხოვრობდით. ამ ასაკისა ვიყავი, როგორც ახლა გამოვიყურები. საერთოდ, იქ ყველა ისე და ისეთი იყო, როგორიც უნდოდა. არ არსებობდა კონფლიქტი... ერთ არაფრით და, თან, ყველაფრით გამორჩეულ დღეს კი, მიწამ დუღილი დაიწყო, ჩვენ ამას დღეს თვიმკვლელობას ვეძახით. შეიკუმშა ამდენი დადებითი ენერგია, ყველა პანიკაში ჩაცვივდა. პანიკას ახლა ვამბობ, მაშინ ეს სიტყვა საერთოდ არ არსებობდა. არ ვიცოდით რა გვექნა და მოფიქრებაც ვერ მოვასწარით, რაღაც უხილავმა ძალამ მიწასთან მიგვანება, თითქოს შიგ გვისრუტავდა, ერთი წამით ყველანაირი ხმა და მოძრაობა შეწყდა, პლანეტა ქვების გროვად აქცია და ყველა მისგან შორს გაგვტყორცნა. უეცრად, რაღაც მნათობი დამეჯახა და გონება დაგვარგე. როცა გამოვფხიზლდი, სივრცეში, მხოლოდ ცეცხლის ბურთები და ქვების გროვები ტრიალებდა. ზურგზე საშინელი ტკივილი ვიგრძენი, როგორც ჩანს, მნათობთან შეჯახებისას დავიჭერი. ტკივილთან ერთად არაამქვეყნიური ძალაც. ხელი ქვებისკენ გავიწვინე, სიმწრისგან ერთმანეთს მივჭყლიტე და ბურთივით მრგვალი სფერო გამომივიდა. პირველად ვიგრძენი რომ მარტო ვარ...

**მაკი (ანყვეტინებს):**

და იქნა ნათელი?

ფელს ეცინება. ორივე ჭიქას ავსებს, მაკს უჭახუნებს და დგამს.

**მაკი:**

შე პატარა ნაბიჭვარო!  
(იციინის, ჭიქას უჭახუნებს და სვამს.)  
კარგი მთხრობელი ხარ, განაგრძე...

**ფელი:**

ჰოდა, ეს გავიაზრე თუ არა, ჩვემს გვერდით ჩემნაირი არსება გაჩნდა. ჯერ გავოგნდი, შემდეგ კი მივხვდი, რომ მისი გაჩენა ჩემმა სურვილმა გამოიწვია. ჰოდა, ამ არსებამ სივრცეში ვარდნა დაიწყო. მივხვდი, რომ ის ჩემზე სუსტი იყო, არ შეეძლო ჩემსავით ელივლივა და ვიფიქრე რა კარგი იქნებოდა ფრთები, რომ ჰქონოდა. და, ჰოი, საოცრება! მას ფრთები გაუჩნდა! თუმცა, ამის მოფიქრება დამაგვიანდა და ერთ დიდ ლოდს დაენარცხა. შემდეგ ამ ლოდმა სხვა ლოდები მიიზიდა და ისიც გავარვარებულ სფეროდ გადაიქცა. რადგან საკუთარი ძალა გავაცნობიერე, მივხვდი, რომ დაგეგმარებისთვის უფრო ყურადღებით უნდა მიმეხედა. ისიც ვიცოდი, რომ არსება, რომელსაც შევქმნიდი, ზუსტად ჩემნაირი ვერ იქნებოდა, თუმცა, ჩემზე ერთი საფეხურით დაბლა მდგომიც რომ აღმოჩენილიყო, ეგ უკვე დიდი შვეება აღმოჩნდებოდა. მაგრამ, მანამდე, მე თვითონ უნდა მომენესრიგებინა ადგილი, სადაც ჩემს საკუთარ სამყაროს შევქმნიდი. ავირჩიე ყველაზე პატარა მნათობი, სული შევუბერე და მილიონჯერ გაიზარდა. გავთბი კიდევ. მერე კიდევ რვა სფერო გავაკეთე. ერთნაირი არცერთი არ იყო, ზოგი ძალიან დიდი გამოვიდა, ზოგი - ძალიან პატარა. ძალიან პატარები დიდებისკენ გაფრინდნენ, თითქოს, მიენებნენ. თავიდან კი მოვინდომე აღმედგინა ის, რაც დაგვარგე, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ეს ჩემს ძალებს აღემატებოდა. მერე ამ ცხრა ბურთს ნკიპურტები დავკარი და მათაც ამ დიდი მნათობის გარშემო ტრიალი დაიწყეს.

*(ამ ყველაფერს მაკს მისსავე მაისურზე აჩვენებს).*

**მაკი:**

კაი, ეგ მზის სისტემა გავიგე, მაგრამ დანარჩენი გალაქტიკები?

**ფელი:**

ფიზიკაში ყოველთვის სუსტი იყავი. მიზიდულობის ძალა, ჩემო მეგობარო... მე, უბრალოდ, პროცესები დავაჩქარე.

**მაკი:**

და მერე გადანყვიტე ეგ შენი საქმე სხვისთვის შეგეტენა და ჩვენ შეგვქმენი...

**ფელი:**

ცოტა უხეშად მოგივიდა, მაგრამ პრინციპი ეგ არის. თუმცა, თქვენს შექმნამდეც ბევრი ვიმუშავე. ჯერ მზისგან ყველაზე შორეულ პლანეტებზე დავინყე “სიცოცხლის შექმნა”

*(ბრჭყალებს აკეთებს თითებით),*

თუმცა, როგორც იცი, ეგრევე სრულყოფილებას ვერ შექმნი და მეც, პირველ მცდელობაზე ჩავფლავდი. მეორე მცდელობაც ეგეთივე იყო. სხვა მიზეზით, თუმცა ისევ მარცხი

განვიცადე მზესთან უფრო ახლო პლანეტებზე. აბა, რა მექნა?! სახლი მენატრებოდა. და მისი პატარა იმიტაციების შექმნა ვცაადე.

**მაკი:**

ჩვენს შექმნაზე გადაახვიე...

**ფელი:**

აი, ზუსტად მანდ ვარ. შეგიძლია ეგოისტი დამიძახო, მაგრამ მომბეზრდა ყველაფრის მარტო კეთება და დამხმარეების გამოგონება გადავწყვიტე. ოღონდ, წინა შეცდომების დაშვება აღარ შეიძლებოდა. ჩემი უახლოესი მეგობარი ლუციფერი გამახსენდა, წარმოსახვაში ფრთები მივაკარი... დანარჩენი თვითონაც კარგად იცი.

**მაკი:**

ჰო, ვიცი, მე ვიყავი პირველი... მაგითი კომპლექსდება დღესაც “ძვირფასი” გაბრიელი, რომელიც ჩემზე მეტად გიყვარს.

**ფელი:**

შენ თუ რამე გადაწყვიტე ხომ ვერ გადაგათქმევინებ... მაგრამ ცდები, რადგან არ იცი, როგორ მიყვარდა ლუციფერი, ვისი სახეც შენ გაჩუქე.

**მაკი:**

კარგი, კარგი. აღარ გინდა ამაზე ლაპარაკი. მერე, მერე?

**ფელი:**

მერე ის, რომ დანარჩენებს ის სახეები მივეცი, რომლებიც მახსოვდა. მაგალითად, გაბრიელი ჩემი მეზობელი იყო, მიქაელი - ჩემი დეიდაშვილი და ა.შ. მერე თქვენ დაგავალეთ სასიცოცხლო პირობების შექმნა. არ დაგავინწყდეს, რომ პლანეტა შენ აირჩიე. თან ზუსტად იმ პლანეტას დაადგი თვალი, რომლის გულშიც ჩემი პირველი ქმნილებაა დამარხული

**მაკი:**

ფრთების მიმაგრება რომ დაუგვიანე?

**ფელი:**

ხო

**მაკი:**

ჰო, მერე?! მთელს პლანეტაზე გავიფანტეთ და ჩვენი ფანტაზიით მოვანყეთ დანაწილებული ადგილები. ზოგს ეყო ფანტაზია, ზოგს - ვერა...

**ფელი:**

ნუ იკბინები...

**მაკი:**

მერე სული შეუბერე დედამინას და ჰოპ! - გაჩნდნენ უჯრედები, უჯრედებიდან გაჩნდნენ ორგანიზმები, ორგანიზმებიდან გაჩნდნენ არსებები, მერე ადამი და ევა... მოიცა და, მაინც და მაინც ჩემს ბაღში რატომ ჩასვი?

**ფელი:**

შენ ყველაზე მეტად გენდობოდი, ამიტომ დაგავალე მათთვის ჩამჭრელი გამოცდის მოფიქრება. ხალხს რალაცის უნდა სჯეროდეს! ჰოდა, მერე მოედნენ დედამინას. ზოგი ცხოველმა შეჭამა, ზოგი ცხოველიც თვითონ შეჭამეს. ეს იმიტომ, რომ გადავწყვიტე მათ ქმედებაში არ ჩავრეულიყავი.

**მაკი:**

ჰო, აბა რა! სულ მთლად თვითონ მაქციეს ბუად!

**ფელი:**

შენ ხომ ისინი ყველაზე მეტად გიყვარს...

**მაკი:**

ჰო, შე იდიოტო! მაგრამ რომ ვძულდე, ის კი არ მინდოდა!

**ფელი:**

სანამ შენს როლს მოგცემდი, გაბრიელი მოვიდა ჩემთან. ითხრა, რომ დედამინაზე უნდოდა ცხოვრება და თუ ადამიანები რამეს დააშავებდნენ, მათ სასტიკად დასჯიდა და ამ სურვილს ჩემი უზენაესობის განმტკიცებით ხსნიდა. მე კი ვუთხარი, რომ შენ გამოშვებას ვაპირებდი, რადგან ყველაფერი შენი ბალიდან დაიწყო. ამიტომაც დღემდე შენზე დაბოღმილი.

**მაკი:**

ჰოდა, ძალიანაც კარგი! არც მე მეხატება გულზე “მისი უსრულყოფილესობა”. ეს ყველაფერი იმას მაინც არ ხსნის, ასე რატომ შეაძულე ხალხს ჩემი თავი ...

**ფელი:**

იმიტომ, რომ სრულყოფილება დამლუპველია. და სრულყოფილების გამო ვარ მე მარტო.

**მაკი:**

მე მართლა ძალიან მიყვარს ისინი...

**ფელი:**

ვიცი. მაგიტომაც მთხოვე გოდოლის შენებისას მათთვის ენები ამერია, რომ უჭაერობაში გასვლისას არ დაღუპულიყვნენ.

**მაკი:**

ჰო, სულელები არიან, არ იცოდნენ, რომ შეიძლება დაღუპულიყვნენ.



**ფელი:**

ისიც კარგად მახსოვს, რამდენი განსაცდელი მოუწყე, რომ გაძლიერებულიყვნენ. თუმცა, ჭკუა მაინც ვერ ისწავლეს, ერთმანეთის დახოცვა დაიწყეს, პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყვნენ და ერთმანეთის სიძულვილი ჩაიდეს გულში.

*მაკს ცრემლი ჩამოსდის. ცარიელ ბოთლს იატაკზე დგამს, ახალ ბოთლს ხსნის, ორივე ჭიქას ავსებს და ორივეს თვითონ სვამს.*

**მაკი:**

სასაცილოა, შენი სამყარო სრულყოფილებამ დაანგრია, ჩემსას კი, არასრულყოფილება ანგრევს. არადა, რამდენი ვეცადე გამეერთიანებინა ისინი, თუნდაც, ჩემ წინააღმდეგ... მაგრამ ერთმანეთის სიძულვილი ჩემდამი სიძულვილზე ძლიერი აღმოჩნდა.

**ფელი:**

კიდეც ვერ მიხვდი? ჩემი სახლი იყო ინი იანის გარეშე. სინათლე სიბნელის გარეშე, სიკეთე ბოროტების გარეშე. ადამიანებმა კი ჩვენი დახმარებით შექმნეს ბალანსი და ის რაც სრულყოფილებას აკლია - ნათურის ჩამრთველი რადგან სულ არ ბნელოდეს არ სულ არ ანათებდეს

**ფელი:**

მალე მზე ამოვა.

**მაკი:**

შემდეგ რა იქნება?

**ფელი:**

ჩემს არსებობაში პირველად, ეგ ნამდვილად არ ვიცი. მე ისევ ჩემს სახლს მივტირი. თხუთმეტი მილიარდი წელია ვუძლებ ამ ნოსტალგიას, და დავიღალე... გიყურებთ თქვენ ყველას და ჩემი სახლის მხოლოდ მკრთალი ანარეკლები ხართ... ამდენი ხნის შემდეგ, პირველად ვამბობ ამას ხმამაღლა... რა აზრი აქვს სიცოცხლეს, თუკი შენ ვერ ხედავ ამ აზრს?!

**მაკი:**

ზოგი ჭირი მარგებელია - გაბრიელის მახინჯ სახეს მაინც აღარ დაინახავ!

*(ორივე იცინის)*

როგორც თქვი, მალე გათენდება და ნამდვილად არ მინდა ეს ვისკი დაუღუველი დამრჩეს.

**ფელი:**

დაასხი!

**მაკი:**

*(ავსებს ჭიქებს, ერთს ფელს აწოდებს, მეორეს - მაღლა სწევს)  
დავინწყებას გაუმარჯოს!*

**ფელი:**

*(უჭახუნებს)*

*და სიახლეს!*

*(იცინის)*

*“ვაშა შენებით გადაშენებას”*

*(უჭახუნებენ და სვამენ).*

### **სცენა III**

ფელი და მაკი მაყურებლის პირისპირ, სალონის აივნის გრძელ სკამზე სხდებიან.

**ფელი:**

რა დაემართათ ადამიანებს? მე არასდროს მდომებია ჩემი შეშინებოდათ, მაგრამ ეშინიათ. მე არასდროს მდომებია ჩემ გამო ერთმანეთი ეხოცათ, მაგრამ ხოცავენ. მე არც ის მდომებია, საკუთარი სიცოცხლე ჩემთვის შემოენიროთ, მაგრამ ყველა თავისი უხერხემლო ქცევა ჩემი სახელით გაამართლეს, შენც უსაქმოდ დაგტოვეს.

*(ავსებს ჭიქებს, უჭახუნებენ და სვამენ)*

გაბრიელზე გამახსენდა, ჩემი მეზობელი გაბრიელი  
(იკინის)  
სიცხეში ყვავილებს რწყავდა, გაგრილდებიანო...

**მაკი:**

და ჩემი ძმაც მას დაემსგავსა იდიოტობაში.  
(ორივე იკინის)

*ამ დროს ისმის ბითლზის **Here Comes The Sun.***

მაკის და ფელის წინ თეთრებში ჩაცმული ხალხი მუსიკის რიტმში იწყებს მოძრაობას. შორს, ფონზე, ჩანს ეკლიანი მავთულით შემოღობილი გორა. ამ გორაზე ჩარჭობილია რელიგიების სიმბოლოები.

ხალხი სცენის ერთ მხარეს იკრიბება, ფეხმორთხმით სამ რიგად სხდება და ერთმანეთს ხელს ხვევს.

**მაკი:**

ადამიანების ფანტაზია საიდან მოვიდა?

**ფელი:**

როცა ჩემი სამყარო აფეთქდა, მისი მტვრით გამეფსო პირი. დიდხანს ვინახე, როგორც ადამიანები ინახავენ სამშობლოს მიწას და როცა დედამიწას სიცოცხლის სული შთავებრე, ეს მტვერი ადამიანებში მიმოვაბნიე. ამ მტვერში ჩემი სამყაროს მეხსიერება ინახება, ოღონდ იმდენი, რამდენიც მე მერგო შემთხვევით. ეს მეხსიერება დროდადრო იღვიძებს ადამიანის გენომში და ზოგი ამ უწყინარ ენერგიას, გასათბობად რომ ვიყენებდით, ასაფეთქებლად იყენებს, ზოგი კი, დონ კიხოტს წერს...

**მაკი:**

მოიცა, შენ გინდა თქვა, რომ ადამიანის ფანტაზია ოდესღაც მართლა რეალობა იყო?

**ფელი:**

კი. თუმცა, ისეთი, როგორიც მე დამამახსოვრდა და არა ზუსტად ისეთი, როგორიც იყო...

**მაკი:**

ზუსტად იცი, რომ მარტო შენ გადაურჩი სიკეთის ზედოზირებას? და სადღაც ვიღაც შენი გარე ბიძაშვილი არ დაბოდიხობს უსასრულო სივრცეში?

**ფელი:**

ზუსტად არაფერი ვიცი.  
(იკინის)

*ისმის ზარის ხმა.*

**მაკი:**

წასვლის დრო მოდის. მოიცა, ჩვენ რომ წავალთ, გაბრიელის ქუაზე მოწყობა ყველაფერი?

**ფელი:**

და შენ გაბრიელს ეძახი ბოლმას? არა, გაბრიელიც გაქრება. და მასთან ერთად ყველა, ვინც ზემოთაა. მარტო ჩემი სამყაროდან დარჩენილი მტვერი გააგრძელებს სიცოცხლეს.

**მაკი:**

და ადამიანებს ვიკიდებთ...

**ფელი:**

ორასი ათასი წელია მათზე ზრუნავ და დასასრულს მარტო ეგ გინდა რომ მკითხო? ეგენი თავის თავს მშვენივრად მიხედავენ. ჩვენ, უბრალოდ, მათი მექანიზმები დავუქოქეთ!

*ისმის მეორე ზარის ხმა.*

**მაკი:**

კარგი ორასი ათასი გამოგვივიდა

*მესამე ზარის ხმა.*

ფელი ქიქას ავსებს, იღებს, გაჰყურებს და სულმოუთქმელად სვამს. მაკი ბოთლს პირში იცლის.

**მაკი:**

რა? ხომ გითხარი, ასეთი ვისკის გაფუჭება არ შეიძლება.  
(დგებიან და გამოდიან ავანსცენაზე).

*მეოთხე ზარი.*

ზურგიტ დგებიან ერთმანეთთან და ორივე ექვს-ექვს ნაბიჯს დგამს წინ. ერთმანეთისკენ ბრუნდებიან.

**ფელი:**

ანარეკლის პირობაზე, კარგი მეგობარი იყავი.  
(იცინის)

**მაკი:**

ნადი, შენი!  
(იცინის)

მეხუთე ზარი.

სამარისებური სიჩუმე. ისმის გულის ფეთქვის და სუნთქვის ხმა ნორმალურ რიტმში, აუჩქარებლად.

მეექვსე ზარი.

ერთმანეთს ესვრიან. ორივე ძირს ვარდება. თეთრებში ჩაცმული ხალხი მათკენ იხედება, ფელი და მაკი ქრებიან, ხალხი უბრუნდება სანყის პოზიციას. ხმამაღლა ისმის ბითლზის **Here Comes The Sun**.

**ფარდა.**